

ნინო ტურცხიაძე

ფატიკური კომუნიკაცია
და მისი ტიპოლოგია
იბალიურ ენაში

თავი I

ფატიკური კომუნიკაცია და მისი კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

§ 1. ფატიკური კომუნიკაცია: მისი ფუნქციური არსის პრობლემა ენობრივი კომუნიკაციის თანამედროვე თვალსაზრისით 15

§ 2. ფატიკური კომუნიკაცია იტალიელ ლინგვისტთა მიხედვით 24

§ 3. კომუნიკაციის ინტერაქციული თეორია და ფატიკურობის როგორც პრობლემის გადაჭრის პერსპექტივა 30

§ 4. ფატიკური კომუნიკაცია საკომუნიკაციო არხის ეფექტურობის ხარისხის თვალსაზრისით 35

§ 5. ფატიკური კომუნიკაცია ენის ემოციური ფუნქციის თვალსაზრისით 42

§ 6. ფატიკური კომუნიკაციის ადგილი კომუნიკაციის ზოგად სტრუქტურაში 47

თავი II

ფატიკური კომუნიკაციის პირველად-ყოფითი ტიპი იტალიურ ლინგვოკულტურულ არეალში: ვერბალური ქვეტიპი (ფაქტოგრაფიული კლასიფიკაცია და კონცეპტუალური ანალიზი)

§ 1. ყოფითი ურთიერთობის თემატური სტრუქტურა როგორც ფატიკური სემანტიკის ექსტრალინგვისტური საფუძველი 50

§ 2. ყოფითი ურთიერთობის ნორმატიული სტრუქტურა როგორც ფატიკური პრაგმატიკის ექსტრალინგვისტური საფუძველი 60

§ 3. ფატიკური კომუნიკაციის ტიპოლოგიზაცია როგორც მეთოდოლოგიური პრობლემა: ტიპოლოგიზაციის კრიტერიუმთა სისტემა 66

1. გაცნობისა და თავაზიანი მიმართვის გამომხატველი ფატიკური პრაგმასემანტიკა იტალიურ ენაში: სიტუაციურად განპირობებული ფორმები 72

2. მისალმების გამომხატველი ფატიკური პრაგმასემანტიკა იტალიურ ენაში: სიტუაციურად განპირობებული ფორმები 80

3. დამშვიდობების გამომხატველი ფატიკური პრაგმასემანტიკა იტალიურ ენაში: სიტუაციურად განპირობებული ფორმები 84

4. მადლიერების გამომხატველი ფატიკური პრაგმასემანტიკა იტალიურ ენაში: სიტუაციურად განპირობებული ფორმები 88

5. ბოდიშის გამომხატველი ფატიკური პრაგმასემანტიკა იტალიურ ენაში: სიტუაციურად განპირობებული ფორმები 91

6. დაპატიუების გამომხატველი ფატიკური პრაგმასემანტიკა იტალიურ ენაში: სიტუაციურად განპირობებული ფორმები 94

7. შეთავაზების გამომხატველი ფატიკური პრაგმასემანტიკა იტალიურ ენაში: სიტუაციურად განპირობებული ფორმები 97

8. დალოცვებისა და მილოცვების გამომხატველი ფატიკური პრაგმასემანტიკა იტალიურ ენაში: სიტუაციურად განპირობებული ფორმები 99

9. თანაგრძნობის გამომხატველი ფატიკური პრაგმასემანტიკა იტალიურ ენაში: სიტუაციურად განპირობებული ფორმები 103

10. ქათინაურის გამომხატველი ფატიკური პრაგმასემანტიკა იტალიურ ენაში: სიტუაციურად განპირობებული ფორმები 105

თავი III.

ფატიკური კომუნიკაციის არავერბალური და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით განპირობებული ასპექტები იტალიურ ლინგვოკულტურულ არეალში

§ 1. არავერბალური ფატიკური კომუნიკაცია იტალიურ ლინგვოკულტურულ არეალში: კვლევის ემპირიული და თეორიული წინამძღვრები 106

§ 2. იტალიური ლინგვოკულტურული არეალი არავერბალური კომუნიკაციის თვალსაზრისით.....	115
§ 3. იტალიური ლინგვოკულტურული არეალის სპეციფიკა და ჟესტთა როგორც არავერბალურ კომუნიკაციურ საშუალებათა თანამედროვე კლასიფიკაცია.....	118
§ 4. ფატიკური არავერბალური კომუნიკაციის როგორც ზოგადად არავერბალური კომუნიკაციის სპეციფიკური სეგმენტის გამოყოფასთან დაკავშირებული პრობლემემატიკა.....	121
§ 5. ფიჭური ტელეფონი და თანამედროვე ყოფითი კომუნიკაციის მეორადი დონე: პრობლემის დასმის ემპირიული და თეორიული წანამძღვრები.....	127
დასკვნები ბიბლიოგრაფია.....	144

**ფატიკური კომუნიკაცია და მისი კვლევის თეო-
რიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები**

**§ 1. ფატიკური კომუნიკაცია: მისი ფუნქციური
არსის პრობლემა ენობრივი კომუნიკაციის
თანამედროვე თვალსაზრისით**

შესავალში უკვე დაისვა პრობლემა, რომლის გადაჭრამ უნდა შექმნას მთელი ჩვენი შემდგომი კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი: როგორ უნდა იქნეს გადალახული ფატიკური კომუნიკაციის როგორც კონცეპტის შინაგანი ანტინომიურობა და როგორ უნდა გავიაზროთ ანტინომიურობის ამგვარი გადალახვის შედეგები ისე, რომ შესაძლებელი გახდეს ხსენებული ფენომენის სრული და თანმიმდევრული გააზრება კომუნიკაციის თანამედროვე კონცეფციის ფარგლებში? ამ პრობლემის გადაჭრას ჩვენ შევეცდებით შემდეგი ეტაპების გავლის გზით:

ა) გავიხსენებთ, თუ როგორ გაიგებოდა მეოცე საუკუნის ლინგვისტიკაში ენის *ფუნქციური არსი*, ანუ რომელი ძირითადი ფუნქციები მიეწერებოდა მას. მიგვაჩნია, რომ კომუნიკაციის როგორც ლინგვოკულტურული ფენომენის განხილვამდე აუცილებელია სწორედ ენის იმ ფუნქციური ხედვის გათვალისწინება, რომლის ფარგლებში თავის დროზე ლინგვისტურ პრაქტიკაში შემოტანილ იქნა ფატიკური კომუნიკაციის ცნება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ცნება შემოტანილ იქნა ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ლინგვისტურ აზროვნებაში დომინირებას დაიწყებდა კომუნიკაციის ლინგვისტიკის პარადიგმა;

ბ) აუცილებელია გავიხსენოთ ფატიკური კომუნიკაციის ის კონცეფცია, რომელიც ეკუთვნოდა რომან იაკობსონს. მართალია, ეს კონცეფცია ჩამოყალიბდა თანამედროვე ლინგვისტიკის განვითარების ადრეულ სტადიაზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სწორედ მან მისცა დასაბამი ჩვენთვის საინტერესო ფენომენის მეცნიერული გააზრების ცდას;

გ) საჭიროა შევჩეროთ ყურადღება იმაზე, თუ როგორ გაიგება დღეს *კომუნიკაცია* როგორც ფენომენი. ფატიკური კომუნიკაციის როგორც კონცეპტის შინაგანი ანტინომიურობის გადალახვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა მოხერხდება მისი ინტეგრაცია კომუნიკაციის თანამედროვე კონცეფციაში. მაგრამ ეს კონცეფცია არ არის შინაგანად ერთგვაროვანი და ამიტომ ჩვენთვის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს კითხვას: კომუნიკაციის ცნების რომელ ვარიანტში უნდა იქნეს უშუალოდ ინტეგრირებული ფატიკური კომუნიკაციის ცნება? ვფიქრობთ, მხოლოდ ამ კითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ იქნება შესაძლებელი ვუპასუხოთ იმ კითხვაზეც, რომელზე პასუხის გაცემას მიეძღვნება ჩვენი ნაშრომის ერთ-ერთი შემდეგი პარაგრაფი: რა ადგილი უკავია ფატიკურ კომუნიკაციას კომუნიკაციის ზოგად სტრუქტურაში?

ზემოთ დასახული გეგმის თანახმად გავიხსენოთ, თუ როგორ გაიგება მეოცე საუკუნის ლინგვისტიკაში ენის ფუნქციის ცნება და, შესაბამისად, რა და რა სახის ფუნქციები მიეწერება ენას.

ენის როლი ადამიანის ცხოვრებაში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ენათმეცნიერებს ჯერაც ვერ განუსაზღვრავთ, თუ რამდენ ფუნქციას ასრულებს იგი. ზოგადად ცნობილია ენის ორი ძირითადი ფუნქცია: ექსპრესიული და საკომუნიკაციო. ყოველი მეცნიერი აღიარებს ენის როგორც საკომუნიკაციო საშუალების უდიდეს მნიშვნელობას მის სხვა ფუნქციებს შორის. ინგლისელი მეცნიერი ჯონ ლაიონზი(3,1) გამოჰყოფს ენის სამ ძირითად ფუნქციას: დესკრიფციულს, სოციალურსა და ექსპრესიულს. ჯეფრი ლიჩის(4,1) მიხედვით გამოიყოფა შემდეგი ფუნქციები: ინფორმაციის გადაცემის, აზრის გამოხატვის, დირექტიული, ესთეტიკური (პოეტური) და ფატიკური. რუსულ ლინგვისტიკურ ენციკლოპედიაში მითითებულია ენის შემდეგ ფუნქციებზე: საკომუნიკაციო, კოგნიტიური (შემეცნებითი ანუ ექსპრესიული), ემოციური და მეტაენობრივი. მათ შორის ენის საკომუნიკაციო ფუნქციას მიეკუთვნება ფატიკური, კონატიური (ათვისების), ვოლუნტატიური (ზემოქმედების) და ეროვნული კულტურის, ისტორიის და თვითშეგნების გადაცემის ფუნქციები.

მაგრამ ჩვენთვის ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს უნდა წარმოადგენდეს იმ ლინგვისტის ნააზრევი, რომელმაც, როგორც უკვე ვნახეთ, არა მარტო განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ენის ფუნქციურ გაგებაში, არამედ მოუნახა კიდევ ადგილი ფატიკურ კომუნიკაციას ენობრივ ფუნქციათა ფართო სპექტრში.

საკომუნიკაციო პროცესების ტრადიციული მოდელიდან გამომდინარე, რ. იაკობსონი აღნიშნავდა, რომ ადამიანთა საკომუნიკაციო აქტის ნამდვილ ღირებულებას უნდა წარმოადგენდეს არა მხოლოდ მისი ფიზიკური და ტექნოლოგიური ბაზისი, არამედ პირველ რიგში ის სოციალური და ფსიქოლოგიური ურთიერთობანი, რომელიც სუბიექტებს შორის მყარდება და რომლებიც შენარჩუნებულ უნდა იქნას მანამ, სანამ ადგილი აქვს საკომუნიკაციო პროცესებს.

მაგალითად, *არხი*, ინფორმაციული თეორიის მიხედვით, არის ის ფიზიკური საყრდენი, რომელიც განამტკიცებს მთქმელისა და მსმენელის ურთიერთკავშირს. იაკობსონი აღნიშნავდა, რომ თვით სოციალურ ურთიერთობას, მთქმელისა და მსმენელის საკომუნიკაციო ურთიერთობაში ჩართვას უზრუნველყოფს სწორედ არხი. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, არხისადმი დამოკიდებულება რადიკალურად იცვლება და სრულიად სხვა ღირებულებას იძენს: მართლაც, ადგილი შესაძლებელია ორმა პიროვნებამ ისაუბროს ისე, რომ ერთმანეთისთვის მნიშვნელოვანი არაფერი ჰქონდეთ სათქმელი არამედ საუბარი წამოიწყონ მხოლოდ იმ უბრალო მოსაზრებით, რომ ცოცხალი საკომუნიკაციო ურთიერთობა შეინარჩუნონ. იაკობსონმა ასეთი სახის კომუნიკაციას „ფატიკური“ უწოდა. თეორიული თვალსაზრისით, ეს მოსაზრება ძალიან გვაშორებს იმ აზრს, რომ საკომუნიკაციო აქტში ყველაფერი ინფორმაციული შინაარსის მქონე მესიჯზე უნდა იყოს დაფუძნებული: ენის რეფერენციალური თვალსაზრისით გამოყენება კომუნიკაციის ერთ-ერთი შესაძლო ფუნქციათაგანია; საუბრის მიზანი შესაძლოა მიმართული იყოს საკომუნიკაციო აქტზე ისევე, როგორც კომუნიკაციის პროცესის ნებისმიერ ელემენტზე. მაგრამ, მოდი ვნახოთ, რომელია ეს *საკომუნიკაციო ელემენტები*:

რეფერენციალური;

მთქმელზე ორიენტირებული მესიჯები;
 ადრესატზე ანუ მსმენელზე ორიენტირებული მესიჯები;
 საკომუნიკაციო არხზე ორიენტირებული მესიჯები: შეეცადოთ რომ „გვისმინონ“, დავამყაროთ თბილი, დადებითი ურთიერთობა მსმენელთან (ფატიკური კომუნიკაცია);
 კოდზე, ნიშანზე ორიენტირებული მესიჯები;
 საკუთარ თავზე ორიენტირებული მესიჯები: ისეთები, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობენ საკუთარ სტრუქტურაში.

რ. იაკობსონმა გამოჰყო ენობრივი კომუნიკაციის ექვსი ფაქტორი, ესენია:

კონტექსტი

მესიჯი

მთქმელი/ დესტინატორი (ადრესატი) ანუ მსმენელი კონტაქტი

კოდური ნიშანი

უფრო გასაგები რომ გახდეს, შეგვიძლია კომუნიკაციის დასახელებული მომენტები გავშიფროთ შემდეგნაირად:

კონტექსტი = რეფერენტი: ანუ ის, რაზეც ვსაუბრობთ

მთქმელი = ის, ვინც საუბრობს, აგზავნის მესიჯს

დესტინატორი (ადრესატი) ანუ მსმენელი = ის, ვინც მას უსმენს, ვინც იღებს მესიჯს

მესიჯი = ინფორმაცია

კონტაქტი = არხი, რომელიც კომუნიკაციის საშუალებას იძლევა

კოდური ნიშანი = ენა

კომუნიკაციის ზემოთჩამოთვლილ თითოეულ ფაქტორს მან შეუსაბამება სხვადასხვა ენობრივი ფუნქცია, რომელსაც ქვემოთ მოყვანილ სქემაში ვიხილავთ:

რეფერენციალური

პოეტური

ემოციური (კონატიური)

ფატიკური

მეტაენობრივი

ემოციური ფუნქცია = ორიენტირებული და კონცენტრირებულია სუბიექტის ქცევასა და მის დამოკიდებულებაზე ტექსტის მიმართ;

რეფერენციალური ფუნქცია = ორიენტირებულია კონტექსტზე;

კონატიური ფუნქცია = ორიენტირებულია დესტინატორზე (ადრესატზე, მსმენელზე);

ფატიკური ფუნქცია = კონცენტრირებულია კონტაქტზე;

მეტალინგვისტური ფუნქცია = კონცენტრირებულია ენაზე;

პოეტური ფუნქცია = ორიენტირებულია მესიჯზე, როგორც ასეთზე;

„MEDIAMENTE.RAI.IT-ის(5,2) სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ინფორმაციით სწორედ რომან იაკობსონს უნდა ვუმაღლოდეთ ვერბალური კომუნიკაციის ფუნქციების თეორიის ჩამოყალიბებას. მან ლინგვისტიკაში ადრე არსებული ტრადიციული მეთოდების საფუძველზე შექმნა თეორია, რომელშიც საკომუნიკაციო პროცესის თითოეულ ელემენტს მიაკუთვნა ის კონკრეტული საკომუნიკაციო ფუნქცია, რომელიც თავს იჩენს მესიჯის ფორმასა და შინაარსში. საკომუნიკაციო ელემენტებისა და ფუნქციების ურთიერთმიმართება იაკობსონმა გადამოგვცა შემდეგ სქემაში:

მთქმელი

კონტექსტი

მესიჯი

კონტაქტი

კოდი

მსმენელი

ემოციური ფუნქცია

რეფერენციალური ფუნქცია

პოეტური ფუნქცია

ფატიკური ფუნქცია

მეტალინგვისტური ფუნქცია

კონატიური ფუნქცია

რ. იაკობსონი თითოეულ ამ ფუნქციათაგანს კონკრეტულ ახსნას აძლევს. რაც შეეხება ფატიკურ ფუნქციას იგი ამ უკანასკნელს შემდეგნაირად განმარტავს: „მესიჯის ფარგლებში ფატიკური კომუნიკაცია გამოხატავს კომუნიკანტთა ვალდებულებას უზრუნველყონ კონტაქტი და მისი ვარგისიანობა (ფატიკური ფუნქციის მქონე მესიჯის კლასიკური მაგალითია

ფორმულა „გისმენთ“ მაშინ როცა ვპასუხობთ სატელეფონო ზარს“ (5,2).

მიგვაჩნია, რომ სწორედ რ. იაკობსონი უნდა ჩაითვალოს ფატიკური კომუნიკაციის როგორც ცნების ჭეშმარიტ ავტორად შემდეგი გარემოების გამო: მან დაინახა ამ ფენომენის ადგილი ენობრივი სისტემის ისეთ ასპექტებს შორის, როგორიცაა *ენობრივი ფუნქციები, ენობრივი საკომუნიკაციო ელემენტები და ენობრივი კომუნიკაციის ფაქტორები* (ამასთან დაკავშირებით გვსურს კიდევ ერთხელ გავესვათ ხაზი შემდეგ მომენტს: მართალია, იაკობსონი ლაპარაკობს ენობრივი კომუნიკაციის შესახებ – სხვანაირად იგი ვერც ილაპარაკებდა ფატიკურ კომუნიკაციაზე –, მაგრამ ეს ხდებოდა მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული კომუნიკაციის ზოგადი თეორია იმ სახით, როგორც იგი არსებობს დღეს).

როგორც ვხედავთ, რ. იაკობსონი გვევლინება კომუნიკაციის თანამედროვე თეორიის არა მარტო წინამორბედის, არამედ მისი ერთ-ერთი დამფუძნებლის როლში. მაგრამ, ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მან პირველმა მოახდინა ფატიკური კომუნიკაციის ინტეგრირება ენის ფუნქციური გაგების კონტექსტში – თუმცა, რა თქმა უნდა, ეს იყო ამგვარი ინტეგრირების მხოლოდ პირველი და თავისი შედეგების მიხედვით ჯერ კიდევ მხოლოდ მიახლოებული ცდა. ქვემოთ ჩვენ დავრწმუნდებით იმაში, რომ ამგვარი სრული ინტეგრაციის საშუალებას იძლევა მხოლოდ კომუნიკაციის თანამედროვე, უკვე ინტერდისციპლინარულად გააზრებული თეორია.

მაგრამ როგორ გამოიყურება კონკრეტულად კომუნიკაციის ის თანამედროვე თეორია, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს ფატიკური კომუნიკაციის ინტეგრირება? არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კომუნიკაციის ფენომენზე ზოგად თეორიული საუბარი ვერ იქნება ჩვენთვის თვითმიზანი: იგი აუცილებელია იმისთვის, რომ გადავლახოთ ჩვენთვის საინტერესო ფენომენის, ანუ ფატიკური კომუნიკაციის დღეისთვის არსებული ცნების უკვე ჩვენს მიერ ხაზგასმული ანტინომიურობა რადგან ამის გარეშე ჩვენ არა მარტო ვერ შევძლებთ მის

ფუნქციური არსის წვდომას, არამედ ვერ შევძლებთ მის ადეკვატურ ტიპოლოგიზაციასაც. ამ ეტაპზე დასმული ამოცანის შესრულებას შევეცდებით ორი შემდეგი კვლევითი ნაბიჯის გადადგმის გზით:


1) ჯერ ვნახავთ, თუ როგორ განისაზღვრება თანამედროვე ლინგვისტურ (და ლინგვოკულტუროლოგიურ) ლიტერატურაში კომუნიკაცია. სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორია დღეისთვის კომუნიკაციის *დომინანტური* ხედვა. ვფიქრობთ, ამ გზით ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით იმ შინაგან ანტინომიურობაში, რომელსაც შეიცავს ფატიკური კომუნიკაციის საყოველთაოდ მიღებული დეფინიცია. ამ მიზნით ჩვენ მივმართავთ ვ. კრასნიხის (В. Красных) უახლეს მონოგრაფიას, რომლის მიხედვით „კომუნიკაცია წარმოადგენს ორ ან ორზე მეტ ენობრივ პიროვნებათა ურთიერთზემოქმედების ისეთ პროცესს, რომლის დროსაც ხდება ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა“ (6,174).

როგორც ვხედავთ, კომუნიკაციის ეს დღეისთვის ფართოდ გავრცელებული გაგება არ იძლევა ფატიკური კომუნიკაციის როგორც კონცეპტის ცნების შინაგანი წინააღმდეგობრიობის (ანტინომიურობის) გადალახვის საშუალებას, რის გამოც შეუძლებელი ხდება ამ ფენომენის კონცეპტუალური ინტეგრირება კომუნიკაციის ზოგად სფეროში (როგორც უკვე ითქვა შესავალში, ფატიკური კომუნიკაცია არ განიხილება როგორც ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა, ამიტომ ჩვენ ვდგევართ შემდეგი დილემის წინაშე: ან უარი უნდა ვთქვათ ფატიკური კომუნიკაციის ცნებაზე, ან აუცილებელი ხდება კომუნიკაციის ბევრად უფრო ფართო და პრინციპულად განახლებული გაგება.

ვფიქრობთ, კომუნიკაციის სწორედ ამგვარ გაგებასთან გვაქვს საქმე მ. მაკაროვის (М. Макаров) უახლეს მონოგრაფიაში: „დისკურსის თეორიის საფუძვლები“. მონოგრაფიის ავტორი განიხილავს კომუნიკაციის სამ თეორიულ მიდევს: ინფორმაციულ-კოდურს, ინფერენციულს და ინტერაქციულს. ავტორის აზრით, ეს მოდელები განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმით, თუ როგორია მათ ფარგლებში ისეთ კატეგორიათა ხვედრითი წონა, როგორიცაა *კომუნიკაცია* და *ინფორმაცია*.

ავტორი შემდეგნაირად ახასიათებს ხსენებულ მოდელებს:

ა) იგი თვლის, რომ „იმ თეორიული მიდგომის მაგალითს, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ინფორმაციას, წარმოადგენს კომუნიკაციის ინფორმაციულ-კოდური მოდელი” (7, 33).
ეს უკანასკნელი წარმოდგენლია შემდეგი გრაფიკული სქემის მეშვეობით:



ბ) რაც შეეხება ინფერენციულ მოდელს, რომლის ფუძემდებლად, ავტორის აზრით, უნდა ჩაითვალოს ჰერბერტ პოლ გრაისი: ინფერენციული „მოდელი იყენებს . . . ცოდნის გამოყვანის ინფერენციის პრინციპს. თუ კოდურ მოდელში მეტყველი პირი განზრახ *უგზავნის* მსმენელს რომელიღაც *აზრს* (ე. ი. იმას, თუ რას „გულისხმობს” იგი) და დებს მას გამონათქვამში, ამით იგი ახდენს იმის დემონსტრაციას, რომ მას სურს გაგებულ იქნას მსმენელის მხრიდან” (7,36).

გ) მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს კომუნიკაციის *ინტერაქციული* მოდელი, რომლის ძირითადი „პრინციპია” *ურთიერთზემოქმედება*, განპირობებული სოციალურ-კულტურული სიტუაციით (7, 38).

ამ მოდელის მიხედვით „კომუნიკაცია განიხილება როგორც ქცევა (არაბიჰევიორისტული გაგებით) . . . კომუნიკაცია ხორციელდება არა როგორც ინფორმაციის ტრანსლაცია, არამედ

როგორც ისეთ მნიშვნელობათა დემონსტრაცია, რომლებიც შეიძლება არც იყვნენ განკუთვნილი იმისთვის, რომ იქნან ამოცნობილნი და ინტერპრეტირებული რეციპიენტის მიერ” (იქვე). მაგრამ, ამ შემთხვევაშიც „განსაკუთრებულ როლს თამაშობს მეორე პირის როგორც მსმენელის აქტიურობა». კომუნიკანტთა ურთიერთმონაწილეობის (соучастие) გარეშე? შეუძლებელი იქნებოდა იმის მიღწევა, რასაც ავტორი უწოდებს „ინტერსუბიექტურობას”, ხოლო ეს სუბიექტურობა ესმის, როგორც ფსიქოლოგიურად და ფენომენოლოგიურად განცდილი ერთობლიობა (общность, togetherness)?(7, 39)?

როგორც ვხედავთ, ინტერაქციულად გაგებული კომუნიკაცია *უკვე* იძლევა იმის თეორიულ შესაძლებლობას, რომ გადალახული იქნას ფატიკური კომუნიკაციის ცნების შინაგანი ანტინომიურობა და მოხდეს თვით ამ ფენომენის ინტეგრირება ფართო კომუნიკაციურ კონტექსტში. მაგრამ, რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს კომუნიკაციის ინტერაქციული მოდელის პოტენციური როლი ამ მიმართულებით, ჩვენ ჯერჯერობით შეგვიძლია ვილაპარაკოთ მხოლოდ თეორიულ შესაძლებლობაზე. როგორ უნდა იქნას რეალიზებული ეს შესაძლებლობა? ჩვენ შევეცდებით ამ კითხვაზე პასუხი გავცეთ ერთ-ერთ შემდგომ პარაგრაფში.

§ 2. შატოკური კომუნიკაცია იტალიელ ლინგვისტთა მიხედვით

წინა პარაგრაფში ჩვენ შევეცადეთ დაგვესვა ფატიკური კომუნიკაციის ფუნქციური არსის პრობლემა კომუნიკაციის ზოგად თეორიასთან კავშირში და დავრწმუნდით, რომ კომუნიკაციის ინტერაქციული კონცეფცია შეიძლება იქცეს იმ თეორიულ ბაზად, რომელსაც შეიძლება დავეყრდნოთ ფატიკური კომუნიკაციის როგორც კონცეპტის ადეკვატური ინტერპრეტაციისა და ტიპოლოგიზაციის პროცესში. ამიტომ, ბუნებრივი იქნებოდა, რომ პირველი პარაგრაფის შემდეგ ჩვენ პირდაპირ უშუალოდ დაგვესვა კითხვა: რა ადგილი უკავია ფატიკურ კომუნიკაციას ინტერაქციულად გაგებული კომუნიკაციის ზოგად სტრუქტურაში? ჩვენ ამ კითხვას, რა თქმა უნდა, დავსვამთ და გავცემთ კიდევ მასზე შესაბამის პასუხს. მაგრამ მხოლოდ იმის შემდეგ, როცა მოკლედ მიმოვიხილავთ იტალიელ ლინგვისტთა შეხედულებებს ფატიკურ კომუნიკაციასთან დაკავშირებით. ასეთი მიმოხილვის აუცილებლობა განპირობებულია არა მარტო იმით, რომ ჩვენ ვაპირებთ ვიკვლიოთ ფატიკური კომუნიკაცია *იტალიურ* ლინგვოკულტურულ არეალში, არამედ იმითაც – და პირველ რიგში იმით –, რომ, ჩვენის აზრით, ამ მოვლენის „იტალიური“ ინტერპრეტაცია ძალიან ახლოსაა იმ ინტერპრეტაციასთან, რომელიც უშუალოდ გამოდინარეობს კომუნიკაციის ინტერაქციული კონცეფციიდან. თამამად შეიძლება ითქვას: სწორედ იტალიელი ლინგვისტები გვთავაზობენ ფატიკური კომუნიკაციის ხაზგასმით *ინტერაქციულ* გაგებას, თუმცა ამ გაგების ფორმულირებისას არ ეყრდნობიან ექსპლიციტურად კომუნიკაციის ზოგად თეორიას. სხვანაირად რომ ვთქვათ: ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ფენომენის ისეთ კონცეფციასთან, რომელიც ეყრდნობა ადეკვატურად წარმართულ ინტუიციას და ზუსტ დაკვირვებას, მაგრამ, რომელიც არ არის შესაბამისი სახით კონცეპტუალიზებული. ვფიქრობთ იტალიელ ლინგვისტთა ნააზრვეის ამგვარი „მოშველიება“ შეგვიქმნის უაღრესად საჭირო შუალედურ რგოლს კომუნიკაციის ინტერაქციულ კონცეფციასა და ფატიკური კომუნიკაციის იმ გაგებას შორის, რომლის თეორიულ

საფუძველს ეს კონცეფცია უნდა წარმოადგენდეს.

იტალიელ ლინგვისტთა ის გამონათქვამები, რომელთა საგანს ფატიკური კომუნიკაცია წარმოადგენს შეიძლება „განვალაგოთ“ არა უბრალოდ ერთი მეორის გვერდზე, არამედ ისე, რომ ამ „განვალაგებაში“ შეიძინოს განსაკუთრებული აზრობრივი *ვექტორი*: ჩვენ დავინახავთ, რომ ამ გამონათქვამებს მივყავართ ფატიკური კომუნიკაციის როგორც ფენომენის ისეთი ინტერპრეტაციისკენ, რომელიც თამამად შეიძლება ჩაითვალოს თვით ინტერაქციულობის გადრმავებულ გაგებად.

ხემოთ შემოთავაზებული კონცეპტუალური სქემის თანახმად, ჩვენ დავიწყებთ ფატიკური კომუნიკაციის ისეთი „იტალიური“ ინტერპრეტაციით განსაზღვრას, რომელიც ერთის მხრივ, ახლოსაა ამ მოვლენის გაგრძელებულ „მოარულ“ განსაზღვრასთან, მაგრამ, ამავე დროს, უკვე ქმნის მისი უფრო გადრმავებული გააზრების საფუძველს. TUTORIAL RER WEBMASTER-ის (8,1) ლინგვისტური კვლევითი ცენტრის მოსაზრებით, ყოველთვის, როცა საკომუნიკაციო აქტის განხორციელებას ვაპირებთ, ვიყენებთ სხვადასხვა ფუნქციონალურ მოდელებს, რომლებსაც განსხვავებული დანიშნულება და თავისებურება ახასიათებს.

„კომუნიკაციისას გადავცემთ მესიჯებს, რომლებიც ჩვენი მსმენელის მიერ უნდა იქნეს აღქმული. ეს მესიჯები გარკვეული მნიშვნელობისა და დანიშნულების არიან იმ ფუნქციური დატვირთვის მიხედვით, რომელსაც შეიცავენ. მესიჯის ჩამოყალიბებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ – აღნიშნავენ ავტორები - იაკობსონის მიერ შემუშავებული ენის საკომუნიკაციო ფუნქციათა კლასიფიკაცია“ და მოჰყავთ იგივე სქემა, რომელიც ზემოაღნიშნულმა ავტორებმა გამოიყენეს. რაც შეეხება ფატიკური ფუნქციის განსაზღვრებას, მოცემული ლინგვისტური ცენტრი მას შემდეგ განმარტებას აძლევს: ტერმინი ფატიკური მომდინარეობს ბერძნულიდან phatys და ნიშნავს „ის, რისი თქმაც შეიძლება“, ანუ „თქმა“, „ლაპარაკი“. ენის ეს ფუნქცია გამოიყენება როდესაც რაიმეს შეტყობინება გვსურს. მესიჯი იხმარება იმისათვის, რომ გადამოწმდეს და დადასტურდეს თანამოსაუბრეთა შორის კონტაქტის უწყვეტელობა, და მიზნად ისახავს დაამყაროს, შეინარჩუნოს, გააგრძელოს ან

შეწყვიტოს საკომუნიკაციო აქტი. ფატიკური კომუნიკაციის კლასიკური მაგალითებია შემდეგი სახის ხშირად ხმარებული და რამოდენიმეჯერ განმეორებული ფორმულირებები: ე. წ. „ცხვირში ყუყუნი“ (Imugunii); „si, si“ (ჰო, ჰო), (კი, კი); „certo, certo“ (რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა); (აბა რა, აბა რა) „bene, bene“ (კარგი, კარგი); ან შემდეგი სახის გამოთქმები: „hai capito?“ (გაიგე?); (გესმის?); (მიხვდი?) და ა. შ., რომელთაც ხშირად ვიყენებთ სატელეფონო საუბრის დროს (8, 2).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია იტალიელი ლინგვისტი ჩინცია ლიგასი, რომელიც ეყრდნობა ენობრივ ფუნქციას იაკობსონისეულ კონცეფციას, მაგრამ, ამავე დროს, იძლევა ფატიკური კომუნიკაციის ისეთ ინტერპრეტაციას, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯად ამ მოვლენის ინტერაქციული გაგების მიმართულებით. ჩინცია ლიგასი რ. იაკობსონის კონცეფციაზე დაყრდნობით ფატიკურ კომუნიკაციას შემდეგ განმარტებას აძლევს: ტერმინი ფატიკური მომდინარეობს ბერძნულიდან phatos, რაც ნიშნავს „ის, რისი თქმაც შეიძლება“ და იგივეა, რაც ლათინური phanai „თქმა“, „ლაპარაკი“. ეს ფუნქცია გამოიყენება მაშინ, როდესაც ნაცვლად იმისა, რომ რაიმე შევატყობინოთ, ჩვენი მესიჯი ემსახურება თანამოსაუბრეთა შორის კონტაქტის მიმდინარეობის გადამოწმებასა და დადასტურებას და მიზნად ისახავს დაამყაროს, შეინარჩუნოს, შეამოწმოს ან შეწყვიტოს საკომუნიკაციო აქტის მსვლელობა. ფატიკური კომუნიკაციის ტიპიურ მაგალითებად ავტორს მოჰყავს სატელეფონო საუბრისას გამოყენებული შემდეგი ფორმულირებანი: ეგრეთ წოდებული „ცხვირში ყუყუნი“, არაერთხელ გამეორებული „si si“ (ჰო, ჰო); (კი, კი); „certo, certo“ (რა თქმა უნდა); (აბა რა); „bene, bene“, (კარგი, კარგი); „hai capito?“ (გაიგე) ან შემდეგი სახის ფორმულირება: „attenzione!“ (ყურადღება!), რომელიც ინტერნეტში პირველ გვერდზე გამოქვეყნებული სტატიებისა და წერილებისთვის მკითხველთა ყურადღების მიპყრობის აღსანიშნავად იხმარება (9, 2).

ავტორი განაგრძობს: უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ რ. იაკობსონის თეორია არ გულისხმობს რომელიმე კონკრეტული ფუნქციის წმინდა სახით ფიგურირებას ამა თუ იმ

მესიჯში. რადგან მართლაც ძნელად თუ მოიპოვება მესიჯი, რომელიც წმინდა ფატიკური ან, ვთქვათ, რეფერენციალური სახისაა.

პირიქით, ბევრ მესიჯში შესაძლოა წავაწყდეთ ყველა ფუნქციას ერთად. თუმცა ნებისმიერ მესიჯში შეიძლება სხვებთან შედარებით უფრო წამყვანი როლი ეჭიროს ენის ერთ კონკრეტულ ფუნქციას, და სწორედ ეს განაპირობებს თვით მოცემული მესიჯის ფუნქციურ თავისებურებას.

მაგალითად, ყოველდღიურ სასაუბრო ენაში უფრო ხშირად ვიყენებთ ხოლმე რეფერენციალურ ფუნქციას (რაც იმით აიხსნება, რომ ძირითადად ვსაუბრობთ კონკრეტულ „რეალურ“). თუმცა ალბათ ყველასათვის ნათელია, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმოდგენილია საკომუნიკაციო აქტის წარმართვა ფატიკური ფრაზების გამოყენების გარეშე.

მაგრამ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ იტალიელ ლინგვისტთა ნააზრევში ფატიკური კომუნიკაციის ინტერაქციული თვალსაზრისით გაღრმავებული გაგება თავის „პიკს“ აღწევს იტალიელი ენათნეცნიერების პიერო ბატალიას და ჯულიო ტოსკის ნაშრომში. მართალია ავტორები ლაპარაკობენ ზოგადად კომუნიკაციაზე, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ კომუნიკაციის მათ მიერ შემოთავაზებულ ინტერპრეტაციაში ერთდროულად ხდება ორი მნიშვნელოვანი რამ:

ა) კომუნიკაცია გაიგება იმდენად „ინტერაქციულად“, რომ ეს ინტერაქციულობა იღებს „ფატიკურ“ ხასიათს;

ბ) ამგვარი ინტერაქციულობა კი (თუმცა თვით ამ ტერმინს ავტორები არ ხმარობენ) გაგებულია, როგორც *შეხვედრა (INCONTRO)*. ეფიქრობთ შეუძლებელია, არა მარტო ფატიკური კომუნიკაციის, არამედ ზოგადად კომუნიკაციის უფრო ღრმა გაგება.

ავტორები კომუნიკაციის საკუთარ გაგებას იძლევიან შემდეგ ყოფით მაგალითზე დაყრდნობით: მატარებლით მგზავრობისას ხშირად ხდება, რომ კუპეში ორ უცნობს ერთად ხანგრძლივი მგზავრობა უწევს. თუ ერთი მათგანი მეორეს შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „Bella giornata!“ (შვენიერი დღეა!), ეს იმას ნიშნავს, რომ მართლა იმის თქმა კი არ სურს,

რომ „დღეს კარგი ამინდია“, არამედ იმისა, რომ: „რადგან ამ მატარებელში გარკვეული დროით ერთად მგზავრობა გვიწევს, ხომ არ სჯობს ცოტა წავიმუსაიფოთ?“. თუ ასეთი შეკითხვის მოსმენის შემდეგ თანამგზავრი ერთს ამოიოხრებს და თავს გაზეთში ჩარგავს, დიდად არაფერი დაშავდება, მაგრამ თუ, პირიქით, საუბრის გაბმის სურვილს გამოიჩინს მოხდება „*შეხვედრა*“ (*incontro*).

შეხვედრა (incontro) რომ *შედგეს*, ამისათვის ორი ძირითადი ელემენტია საჭირო: მინიმუმ ორი ინდივიდის არსებობა და კომუნიკაციის დამყარების სურვილის გამოხატვა.

იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ორი ინდივიდიდან ერთ-ერთი თავს იკატუნებს თითქოს მეორეს უსმენდეს, სინამდვილეში კი თავის ფიქრებშია გართული, *შეხვედრა* ანუ *კომუნიკაცია* ვერ განხორციელდება. ეს არ მოხდება მაშინაც, როდესაც ერთ-ერთი თავის „ნატუჭში“ გამოიკეტება და მხოლოდ მეორეს დააკისრებს საუბრის მთელ სიმძიმეს. *შეხვედრის* ანუ *კომუნიკაციის* განსახორციელებლად საჭიროა ჩვენი „ნატუჭიდან“ *გამოვძვრეთ* და თანამოსაუბრისკენ „მეგობრული“ ნაბიჯი გადავდგათ მისი კარგად გაცნობის მიზნით.

მაგრამ მხოლოდ „ნატუჭიდან“ გამოსვლა როდი კმარა: საკუთარი „მე“-დან გამოსვლა არ ნიშნავს საკუთარი თავის უგულებელყოფას და იმას, რომ ყველაფერს, რასაც ჩვენი თანამოსაუბრე ამბობს აუცილებლად უნდა დავეთანხმოთ. რადგან კომუნიკაციის დამყარება გულისხმობს ერთ ძალიან მნიშვნელოვან ელემენტსაც: უნდა ვეცადოთ, რომ *საუბრისას არ ვიყოთ „ზედაპირულნი“*. პიერო ბატალიას და ჯულია ტოსკის ამის ასახსნელად მოჰყავთ ერთი ბანალური მაგალითი: „წაბლს გარედან უხეში და საჭმელად უვარგისი ქერქი აკრავს, მაგრამ მის შიგნით ერთობ გემრიელი და ნოყიერი ნაყოფი იფარება. როცა წაბლის ჭამა გვსურს, უნდა ვეცადოთ მხოლოდ მისი უხეში გარეკანი მოვიშოროთ თავიდან და არა თავად ნაყოფი. ადამიანებიც წაბლს გვანან: ისინი რომ კარგად გავიცნოთ საკმარისი არაა ვთქვათ: „რა კარგი პიროვნე-

ბაა!, ან „რა აუტანელია!“, რადგან *შეხვედრის (incontro)* ანუ *კომუნიკაციის* დიდი სურვილი აუცილებლად გვიბიძგებს, „შეეძვრეთ ნატუჭში“ და „შევაღწიოთ თანამოსაუბრის სულში“ (10,261).

როგორც ვხედავთ, იტალიელ ლინგვისტთა გამონათქვამები ხასიათდება ერთი საერთო ნიშნით: ისინი ნაკლებად ხმარობენ „ფატიკურ კომუნიკაციას“ როგორც ტერმინს, მაგრამ, ამავე დროს, მათ ნააზრევში თვით კომუნიკაცია როგორც ფუნქციონირება ინტერაქციულობის ჭეშმარიტ, შეიძლება ითქვას, ლოგიკურ ბოლომდე მიყვანილ რეალიზაციად.

მიგვანია, რომ კომუნიკაციის სწორედ ასეთი გაგება იძლევა ფატიკური კომუნიკაციის ბოლომდე ადეკვატური ინტერპრეტაციის საშუალებას.

§ 3. კომუნიკაციის ინტერაქციული თეორია და ფატიკურობის როგორც პრობლემის გადაჭრის პერსპექტივა

შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ კომუნიკაციის ინტერაქციული მოდელის წინა პლანზე წამოყენებამ და კომუნიკაციის „იტალიურმა გაგებამ“, რომელსაც ჩვენ არაკონცეპტუალიზირებული, მაგრამ, ამავე დროს, გაღრმავებული კონცეფციის სტატუსი მივანიჭეთ, შეგვიქმნა იმის პერსპექტივა, რომ საბოლოოდ გამოვუნახოთ „ადგილი“ ფატიკურ კომუნიკაციას კომუნიკაციის როგორც ფენომენის ზოგად სტრუქტურაში.

მიგვაჩნია, რომ მიუხედავად ფატიკური კომუნიკაციის როგორც ცნების არსებობის უკვე მრავალწლიანი ისტორიისა, იგი ჯერ კიდევ არ არის ინტეგრირებული კომუნიკაციის ზოგად თეორიაში. ასეთი ინტეგრირება, ალბათ შეუძლებელიც იყო იმის გამო, რომ კომუნიკაცია გაიგებოდა (და ფაქტობრივად დღესაც გაიგება) როგორც ინფორმაციათა გაცვლა-გამოცვლა, ხოლო ფატიკურ კომუნიკაციას კი ეძლეოდა (და ფაქტობრივად დღესაც ეძლევა) სრულიად სხვა ფუნქციური დატვირთვა. მაგრამ, როგორც ვნახეთ, კომუნიკაციის თანამედროვე თეორიაში იწყება პროცესი, რომელიც ჯერ კიდევ ძალიან შორსაა დასრულებისკენ: კომუნიკაციის ინფორმაციული გაგება ადგილს უთმობს მის ინტერაქციულ გაგებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ადგილი აქვს ისეთ პარადიგმულ ძვრას კომუნიკაციის როგორც ფენომენის ინტერპრეტაციაში, რომლის წყალობით ფატიკურმა კომუნიკაციამ შეიძლება მთლიანად შეიცვალოს თავისი სტატუსი კომუნიკაციის თეორიაში: ამ თეორიის პერიფერიიდან მან შეიძლება გადაინაცვლოს მის ცენტრში. იტალიელ ლინგვისტთა ის შეხედულებები, რომელთა რეფერირებაც ჩვენ მოვახდინეთ წინა პარაგრაფში, გვარწმუნებენ ფატიკური კომუნიკაციის სტატუსის ამგვარი ცვლილების სრულ შესაძლებლობაში: ისინი ლაპარაკობენ კომუნიკაციაზე ისე, თითქოს მათი მსჯელობის საგანს წარმოადგენს ფატიკური კომუნიკაცია.

მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ზემოთ ნათქვამი წარმოადგენს მხოლოდ თეორიულ შესაძლებლობას. მოცემულ პა-

რაგრაფში ჩვენ შევეცდებით მოვხაზოთ პირველი კონტურები იმ ამოცანის რეალიზაციისა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ამ თეორიული შესაძლებლობის რეალურად ქცევის ამოცანა.

უკვე ითქვა იმის შესახებ, რომ ხსენებული ამოცანის შესრულების პერსპექტივას შეიცავენ იტალიელ ლინგვისტთა გამონათქვამები კომუნიკაციის როგორც ფენომენის შესახებ. მაგრამ ისმის კითხვა: შეიცავს თუ არა თვით კომუნიკაციის თანამედროვე თეორია ისეთ მომენტებს, რომლებსაც შეიძლება დავყვრდნოთ ფატიკური კომუნიკაციის ცნების როგორც თეორიული პრობლემის უკვე ხსენებული მიმართულებით გადაჭრის პროცესში?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით მივმართოთ კომუნიკაციის თანამედროვე თეორიას. ჩვენ უკვე ვეჭონდა იმის დანახვის შესაძლებლობა, თუ როგორ ხდება ამ თეორიის ფარგლებში კომუნიკაციის ფენომენის ტიპოლოგიზაცია; სახელდობრ ვნახეთ, რომ ლაპარაკია, ერთის მხრივ, შიდაკულტურულ და კულტურათაშორის კომუნიკაციაზე, ხოლო მეორეს მხრივ, კომუნიკაციის სფეროში ენობრივ და კულტურულ კომპეტენციაზე. მაგრამ, ვფიქრობთ, ჩვენი კვლევითი მიზნებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს შემდეგ ფაქტს: ხსენებული თეორიის ფარგლებში არსებობს კომუნიკაციის ტიპთა ისეთი გამიჯვნა, რომელიც ეფუძნება შეფასებით კრიტერიუმს. კომუნიკაციის ამგვარი ტიპოლოგიზაციის ფარგლებში გამოიყოფა ოპოზიციის ორი შემდეგი სინონიმური ვარიანტი:

- 1) წარმატებული კომუნიკაცია
Vs
წარუმატებელი კომუნიკაცია
- 2) იდეალური კომუნიკაცია
Vs
არაიდეალური კომუნიკაცია

ბუნებრივია მივიჩნიოთ, რომ იდეალურ კომუნიკაციად უნდა ჩაითვალოს სწორედ წარმატებული კომუნიკაცია და პი-

რუკუ: სწორედ წარმატებული კომუნიკაცია უნდა მივიჩნიო, იდეალურად, მაგრამ უეჭველია ისიც, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს წმინდა ფორმალურ მსჯელობასთან. შინაარსობრივი თვალსაზრისით, მთავარია გავცეთ პასუხი კითხვაზე რა თვისება უნდა ჰქონდეს კომუნიკაციას იმ შემთხვევაში, თუ მას იდეალურად, ანუ წარმატებულად ჩავთვლით (თუმცა, მიუხედავად ჩვენი ასეთი მსჯელობის თითქოსდა ერთი შეხედვით კორექტულობისა, იგი იქნებ მაინც იმსახურებს შემდეგ შენიშვნას: წარმატებულსა და იდეალურს შორის მაინც არსებობს გარკვეული – და იქნებ ფრიად მნიშვნელოვანი – განსხვავება, რადგან კომუნიკაციის წარმატებულად შეფასება გულისხმობს მის წმინდა პრაქტიკულ ხედვას. სიტყვა იდეალურს კი შეიძლება ჰქონდეს სხვა მნიშვნელობაც). ქვემოთ ჩვენ შევეცდებით მოვახდინოთ ხსენებული ნიუანსის კონცეპტუალიზაცია, მაგრამ მოცემულ ეტაპზე, შეიძლება აღბათ მაინც ვილაპარაკოთ ზემოთ ფორმულირებულ ოპოზიციათა სინონიმურობაზე.

წარმატებულ და წარუმატებელ კომუნიკაციაზე ლაპარაკობს ჩვენს მიერ უკვე ციტირებული ავტორი ვ. კრასნიხი. იგი წერს: „კომუნიკაცია შეიძლება იყოს წარმატებული და წარუმატებელი. წარმატებული კომუნიკაცია არის ის ადეკვატური კომუნიკაცია, რომლის დროსაც მიიღწევა მეტად თუ ნაკლებად სრული, მაგრამ კომუნიკანტთა თვალსაზრისით აუცილებლად საკმარისი ურთიერთგაგება ... წარუმატებელი კომუნიკაციის შემთხვევაში კი შესაძლებელია ... კომუნიკაციური ჩავარდნაც (провал)“ (6, 172, 173). მაგრამ რა უნდა ჩაითვალოს წარმატებული კომუნიკაციის წინაპირობად? ამ კითხვაზე ავტორი იძლევა შემდეგ პასუხს: „ურთიერთგაგების მიღწევის სათვის აუცილებელია, რომ კომუნიკანტებს ჰქონდეთ: 1) გამოყენებული ენის საერთო ცოდნა... და აგრეთვე: 2) სამყაროს და ცნობიერების სახეობათა საერთო ცოდნა“ (იქვე). მაგრამ საინტერესოა აღინიშნოს შემდეგი: ხსენებული ავტორი აღდენს ისეთი ავტორის, სახელდობრ ი. შრეიდერის (Ю. Шреидер) ნააზრევის რეფერირებას, რომელიც ლაპარაკობს „იდეალურ კომუნიკაციურ სიტუაციაზე“. ი. შრეიდერის აზრით, ამგვარ სიტუაციის შექმნისთვის აუცილებელია არა მარტო (და არ

იმდენად) ის ორი პრობლემა, რომლებზეც ზემოთ იყო ლაპარაკი, არამედ ის, რომ „ორივე კომუნიკანტისთვის მნიშვნელობათა ველის ერთიან სტრუქტურაში არსებობდეს ისეთი გამოყოფილი ელემენტები, რომლებსაც ავტორი „ფოკალურ წერტილებს“ უწოდებს. მაგრამ ასეთი ელემენტები დაკავშირებული არის არა ენასთან, არამედ მეტყველებასთან, კონკრეტულ კომუნიკაციურ სიტუაციასთან“ (6, 176). ვ. კრასნიხის მოჰყავს მეორე მკვლევარის ე. ზემსკაიას (Е. Земская) აზრი იმის თობაზე, რომ საკუთარი აზრის გამოსათქმელად (და ეს აზრი ზოგჯერ საკმაოდ რთულიც შეიძლება იყოს) მეტყველი პირი იყენებს ისეთ პირობით ნიშან-სიგნალს, რომელიც გასაგებია მსმენელისათვის იმდენად, რამდენადაც მისთვის ცნობილია კონსიტუაცია. საქმე ეხება გარკვეული წინასწარი ცნობების არსებობას ან რომელიმე ამხსნელ უესტს (6, 177) და ა. შ.

ზემოთ რეფერირებულ მსჯელობაში ჩვენთვის მნიშვნელოვანია შემდეგი ორი მომენტი:

1) „იდეალური კომუნიკაციური სიტუაციის“ შექმნა ხდება თვით *მეტყველების* პროცესში, ე. ი. ცოდნის საერთო ფონი თავისთავად ვერ შექმნის მსგავს სიტუაციას – ამისთვის აუცილებელია თვით კომუნიკანტთა როგორც კონკრეტულ პირთა ინიციატივა;

2) „ის ნიშან-სიგნალი“, რომელიც ხსენებულ მიზანს ემსახურება წინ უნდა *უსწრებდეს* იმას, რაც ჩვეულებრივ გაიგება ხოლმე როგორც საკუთრივ კომუნიკაცია. მთავარი კი აღბათ მაინც ის არის, რომ ამ წინასწარ რეალიზებული „ნიშან-სიგნალის“ გარეშე (ამ ნიშან-სიგნალს კი შეიძლება უესტის სახეც ჰქონდეს) ვერ შეიქმნება ურთიერთგაგებისთვის აუცილებელი „იდეალური კომუნიკაციური სიტუაცია“. როგორც ვხედავთ, ზემოთ ნახმარი ისეთი ტერმინის მნიშვნელობა, როგორცაა „ნიშან-სიგნალი“, ძალიან ახლოსაა ფატიკური კომუნიკაციის ფუნქციურ დატვირთვასთან: იგი გვიჩვენებს, რომ ნებისმიერი კომუნიკაცია – თვით ისეთიც კი, რომლის ძირითადი მიზანი ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლაა – აუცილებლად საჭიროებს *ინტერაქციულობას*, როგორც თავის საწყის ბაზას, მაგრამ, ამასთან ერთად ჩვენ უკვე დავრწმუნდით იმაში, რომ კომუნიკაციის თანამედროვე გაგებას თან ახლავს

ჩვენთვის მნიშვნელოვანი ორი შემდეგი მომენტი:

ა) წინა პლანზე გამოდის კომუნიკაციის არაინფორმაციული, არამედ ინტერაქციული გაგება;

ბ) სახეზეა სრული შინაარსობრივი მსგავსება (თუ არა თანხვედრა) ისეთ ცნებებს შორის, როგორცაა *ინტერაქციულობა* და *ფატიკურობა*. ამიტომ ჩვენ უკვე შეგვიძლია გამოვთქვათ შემდეგი ვარაუდი: ფატიკურობა, როგორც კომუნიკაციური მომენტი შეუძლებელია მივიჩნიოთ კომუნიკაციის პერიფერიულ ელემენტად: იმდენად, რამდენადაც კომუნიკაციას გავიგებთ ინტერაქციულად, მას შეიძლება მიეკუთვნოს კომუნიკაციური თვალსაზრისით ცენტრალური სტატუსიც.

როგორ უნდა მოხდეს ამ პარაგრაფში განვითარებული მსჯელობის საბოლოო თეორიული რეზუმირება? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ჩვენ შემდეგ პარაგრაფში შევეცდებით.

§ 4. შატიკური კომუნიკაცია საკომუნიკაციო არხის ეფექტურობის ხარისხის თვალსაზრისით

წინა პარაგრაფი ჩვენ დავასრულეთ იმ გარემოების ხაზგასმით, რომ, თუ ჩვენ უპირატესობას მივანიჭებთ კომუნიკაციის ინტერაქციულ კონცეფციასა და მოდელს, მაშინ აუცილებელი გახდება ხელახლა განისაზღვროს ფატიკური კომუნიკაციის ადგილი კომუნიკაციის ზოგად სტრუქტურაში. ვფიქრობთ, რომ პრობლემის ამგვარი დასმა აუცილებლად მოითხოვს იმ პოზიციის სრულად გათვალისწინებასაც, რომლის მიხედვით ფატიკური კომუნიკაციის ძირითადი დანიშნულებაა საკომუნიკაციო არხის ეფექტურობის ხარისხის გაუმჯობესება. ხსენებული პოზიცია ეყრდნობა მსჯელობის შემდეგ ლოგიკას: თითოეული საკომუნიკაციო აქტი ემსახურება რაღაც გარკვეულ მიზანს. სულ ერთია, ვიყენებთ ვერბალურ კოდს თუ არა-ვერბალურს, კომუნიკაციის დასამყარებლად ყოველთვის რაღაც გარკვეული მოთხოვნილება გვიბიძგებს. ეს შეიძლება იყოს სურვილი, იმპულსი, სხვებთან, ანუ სხვა ინდივიდებთან საკომუნიკაციო აქტის დამყარებისათვის. იმპულსი ბადებს განზრახვას, რომ გამოვხატოთ ჩვენი აზრი საკომუნიკაციო აქტის საშუალებით, რომელიც გარკვეულ მიზანს შეიცავს.

ასეთი თვალსაზრისი ვარგისია ნებისმიერი კოდისთვის და განსაკუთრებით ენობრივი კოდისთვის. ისევე, როგორც უსაზღვრო საკომუნიკაციო აქტის იმპულსები და მიზნები, ასევე უსაზღვრო კომუნიკაციის განხორციელების ენობრივი საშუალებანი. მაგრამ, მიუხედავად მესიჯის(შეტყობინების) უსასრულო მრავალფეროვნებისა, შესაძლებელი ხდება მათი კლასიფიცირება გარკვეულ ჯგუფებად საერთო მიზნის მიხედვით.

ამ მოსაზრების საფუძველი ის არის, რომ, როდესაც გარკვეული მიზნისა და დანიშნულების საკომუნიკაციო აქტს ვახორციელებთ, ყოველთვის ვითვალისწინებთ კომუნიკაციის თანხლებ შემდეგ მომენტებს:


ჩვენი პიროვნება;
ჩვენი მსმენელი;

მესიჯის (შეტყობინების) შემადგენლობა;
 მესიჯის (შეტყობინების) გამოყენების საშუალება;
 ობიექტი, რომელსაც მესიჯი შეეხება;

იმისდა მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ჩვენი მესიჯი ამ ელემენტთა მოთხოვნილებებს, იცვლება ენობრივი კოდის დატვირთვა, ანუ ხდება ენობრივი კოდის ფუნქციონირება ცვალებადობა. როგორც ცნობილია, ფუნქცია წარმოადგენს ენობრივი კოდის გამოყენებას სხვადასხვა დანიშნულებით, რაც გამოწვეულია საკომუნიკაციო აქტის მიზნით.

როგორც უკვე ითქვა, მრავალი სხვადასხვა ქვეყნის ენათმეცნიერი გამოყოფს ენის ფუნქციის სხვადასხვა ტიპს. მაგრამ, არც თუ ისე შორეულ წარსულში, ცოტა მათგანი თუ განიხილავდა ფატიკურს – როგორც ენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას. ზოგიერთი მათგანი კი საერთოდ იგნორირებას უკეთებდა ამ უკანასკნელს.

იტალიელი მეცნიერები ჯან კარლო ოლი, გაეტანო დე ბერნარდისი და ანდრეა სორცი იმ ენათმეცნიერთა ჯგუფს მიეკუთვნებიან, რომლებსაც ფატიკური ფუნქცია ენის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად მიაჩნიათ. ჩამოთვლილი ავტორები რუსი ენათმეცნიერის რომან იაკობსონის მიერ შემუშავებულ საკომუნიკაციო პროცესის ფუნქციონირების ერთ-ერთ მოდელს ემყარებიან და აღნიშნავენ, რომ კომუნიკაციის თითოეული ძირითადი ელემენტი (მთქმელი, მსმენელი, არხი, კოდი მესიჯი ანუ შეტყობინება, ობიექტი, ანუ რეფერენტი) ნათლად მიგვითითებს ენის შესაბამის ფუნქციებზე. „ყოველთვის, როცა მესიჯის (შეტყობინების) ფორმულირებას ვახორციელებთ, მეტნაკლებად მივაკუთვნებთ მას ზემოთ ჩამოთვლილ ექვს ელემენტს ფუნქციების მიხედვით“ (11, 31) – აღნიშნავენ ავტორები და გვთავაზობენ შემდეგი სახის სქემას:



სქემის მიხედვით, მესიჯის ფორმულირებისთვის ვიყენებთ: ემოციურ ფუნქციას, რომელიც გამოხატავს მთქმელის აზრებსა და შეხედულებებს, მის სულიერ მდგომარეობას, მის გრძნობებსა და ემოციებს;

კონსტატიურ ფუნქციას, როდესაც მესიჯი ორიენტირებულია მსმენელზე, რომელიც მიზნად ისახავს მსმენელის დარწმუნებას, დაყოლიებას, გადაბირებას, ან ისეთ აქტს, რომელიც გულისხმობს მიწვევას ან ბრძანებას;

3. ფატიკურ ფუნქციას;

მეტაენობრივ ფუნქციას, როდესაც მესიჯი მიზნად ისახავს კოდის (იგულისხმება ენა) ხმარებას, რომელსაც იგი თავად იყენებს;

რეფერენციულ ფუნქციას, როდესაც საკომუნიკაციო აქტში აქცენტი კეთდება და ყურადღება კონცენტრირებულია რეფერენტზე, ანუ მასზე, რაც აისახება ამ მესიჯში; ასეთ შემთხვევაში, მთქმელი მიზნად ისახავს მხოლოდ ინფორმაციის გადაცემას სხვა ფუნქციების მოშველიების გარეშე;

6. პოეტურ ფუნქციას, როდესაც ენობრივი აქტი უპირატესად მესიჯზე არის კონცენტრირებული, რომელშიც მესიჯის ფორმალური სახე არის გამოკვეთილი.

როგორც დავინახეთ, ფატიკურ ფუნქციას სხვა ფუნქციებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. საინტერესო ისაა, რომ ზემოთ მოყვანილი კონცეფცია ფატიკური ფუნქციის შესახებ საგრძნობლად განსხვავებულია იმ თეორიისაგან, რომელიც ტერმინის - „ფატიკური“ პირველმა „ნათლიმამამ“ - ანთროპოლოგმა ბრონისლავ მალინოვსკიმ ჩამოაყალიბა.

თუმცა უნდა ითქვას, რომ არც ზემოთ ჩამოთვლილი მეცნიერები უარყოფენ ბ. მალინოვსკის კონცეფციას, მაგრამ იმის მტკიცება, რომ ფატიკური ფუნქცია საკომუნიკაციო არხის გადასინჯვასა და მის ვარგისიანობაში, როგორც საიმედოში, დარწმუნებას ემსახურება, ჩვენი აზრით, სწორედ რომ ახალი კუთხით დაგვანახებს ენის ამ ფუნქციის რეალიზებას, თუმცა, რა თქმა უნდა, ფატიკური კომუნიკაციის ამგვარი გაგება არ ამოწურავს მთელ მის შესაძლო ფუნქციურ სპექტრს.

ავტორთა აზრით, თუ მესიჯი (შეტყობინება) ემსახურება საკომუნიკაციო არხის ვარგისიანობისა და ეფექტურად ფუნქციონირების გადამოწმებას და მსმენელის მზადყოფნას ჩაერთოს საუბარში, ხდება ფატიკური ფუნქციის რეალიზება, რომელსაც სხვაგვარად „კონტაქტური“ ანუ „საკონტაქტო“ ფუნქციაც ეწოდება.

როგორც უკვე ვიცით, პოლონელი მეცნიერის ბრონისლავ მალინოვსკის აზრით, სიტყვა „ფატიკური“ ბერძნულიდან მომდინარეობს (**phatos** - სალაპარაკო, **phanai** - ლაპარაკი). თუმცა ზემოთ ჩამოთვლილ იტალიელ მეცნიერთა აზრით, ზედსართავი სახელი „ფატიკური“ ლათინური წარმოშობისაა და მომდინარეობს ზმნიდან **fari**, რაც ნიშნავს „ლაპარაკს“, მართლაც, თავად ფატიკური ფუნქცია გულისხმობს ლაპარაკის შესაძ

ლებლობას და ზოგადად კომუნიკაციას.

ენობრივ აქტში ფატიკური ფუნქცია ახასიათებს კითხვით ფორმებს: „**Pronto**“ (ალო) (სატელეფონო საუბრისას); „**cosa dici?**“; „**che cosa dici?**“ (რას ამბობ?); „**mi senti?**“; (გესმის ჩემი?); „**mi ascoltate?**“ (ჩემი გესმით?); „**avete capito?**“ (გაიგეთ?); „**come?**“ (რა?, როგორ?); „**allora?**“ (ანუ?; მერე?) და სხვა მრავალი, რომელიც მრავალფეროვნად ვარიაციულია გარემოებითი შემთხვევების გათვალისწინებით.

ფატიკურ ფუნქციას ემსახურება, ავტორთა აზრით, აგრეთვე, რიგი შორისდებულები და შეძახილები: „**aimè!**“ (ვაი, უფ!), „**bene**“ (კარგი); „**appunto!**“ (ზუსტად!, სწორედაც, რომ!); „**certo**“ (რა თქმა უნდა!) და ა. შ. სხვა სტერეოტიპული გამოთქმები, როგორებიცაა, მაგალითად: „**tutto bene?**“; „**tutto a posto?**“ (ყველაფერი რიგზეა?); „**come va?**“ (როგორ მიდის საქმე?); „**qualche problema?**“ (რაიმე პრობლემაა?) და სხვანი.

როგორც უკვე ავლნიშნეთ, ზემოთ ჩამოთვლილი ავტორები არ უარყოფენ სხვა ენათმეცნიერთა შორის გავრცელებულ აზრს ენის ფატიკური ფუნქციის შესახებ და აღნიშნავენ, რომ ფატიკური საკომუნიკაციო აქტი, ხშირ შემთხვევაში, სრულდება მეტ ნაკლებად გაუცნობიერებლად. ენის ყოველდღიურ ხმარებაში ეს უკანასკნელი მართლაც რომ ამოწურავი რაოდენობით გვხვდება ჩვეულებრივ საუბარში და, როგორც უკვე ითქვა ზემოთ, კი არ შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ საკომუნიკაციო არხის ვარგისიანობის უბრალოდ შემოწმებით, არამედ შეიცავს ყველა იმ მესიჯსაც, რომელსაც არც თუ ისე იშვიათად ვიყენებთ ხოლმე მდორე, შენულებული საუბრის პაუზების შესავსებად ისე, რომ ზოგჯერ თავად მესიჯი შეიძლება სულაც არ შეიცავდეს ნამდვილ და აუცილებელ შინაარსს. მაგალითად, როდესაც რომელიმე დაწესებულების სარკმელთან რიგში ვდგევართ, დროის გაყვანისა და თანამომლოდინეებთან კონტაქტში შესვლის მიზნით, გვიწევს ხოლმე შეძღვევი ფრაზების წამოსროლა: „**quanta gente!**“ (უფ, რამდენი ხალხია!); „**che fila!**“ (რამხელა რიგია!); „**che confusione!**“ (რა გაუგებრობაა!, რა აურზაურია!); „**è sempre così!**“ (აქ სულ ასეა!); „**non se ne può piu!**“ (მეტის მეთმენა აღარ შეიძლება!); „**quanto tempo!**“ (ამდენ ხანს რა ამბავია!) და სხვა მსგავსი გამოთქმე-

ბისა, რომლებიც სინამდვილეში არავითარი განსაკუთრებული აზრის გადაცემას არ ემსახურება.

იგივეს თქმა შეიძლება მისასაღმებელი და თავაზიანი გამოთქმების გამოყენების შემთხვევაშიც, როგორებიცაა მაგალითად: „**ciao!**“ (სალამი!); „**buon giorno!**“ (გამარჯობა!) (დღე მშვიდობისა); „**saluti a casa!**“ (მომიკითხეთ) ოჯახის წევრები!); რომლებიც მიზნად ისახავს საკომუნიკაციო ურთიერთობების დაწყებას და დამთავრებას, მსგავსი გამოთქმებით ადამიანები გადასცემენ — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით — მსმენელს ან თანამოსაუბრეს თავიანთ კეთილ განზრახვასა და კეთილგანწყობილებას და გამოხატავენ მზადყოფნას, რომ ამ უკანასკნელმაც მთქმელთან ერთად დაიწყოს ან დაასრულოს საკომუნიკაციო აქტი.

ამ ფუნქციას ასრულებენ, აგრეთვე, შემდეგი სახის გარემოებითი გამოთქმები (**frasi di circostanza**), რომლებსაც სხვადასხვა შემთხვევასა და გარემოებაში ვიყენებთ ხოლმე: „**che noia, vero?**“ (რა მოსაწყენია, არა?, რა მოსაბეზრებელია, არა?); „**comincia a far caldo**“ (ასიცხებას იწყებს!); „**l' estate si avvicina!**“ (ზაფხული კარს მოგვადგა!); „**c è un bel traffico questa mattina, eh?**“, (ამ დილით ძლიერ გადატვირთულია გზები, არა, რას იტყვი (თ)?!) და სხვა ამდაგვარი: „**eccoci qua!**“ (აი, ჩვენც აქ ვართ (მოვედით)!); „**ci siamo?!**“ (გაეუგეთ ერთმანეთს?!); „**mano!**“ (უფ, არა!) (შეუძლებელია!); „**davvero?**“ (მართლა?) და ა. შ.

ხშირად, ჩვენს თანამოსაუბრეებთან ლაპარაკისას, ვიყენებთ და ვურთავთ საუბარში ისეთი სახის „ჩართულებს“ (**intercalari**), როგორებიცაა: „**va bene?**“ (კარგი?), „**è chiaro?**“ (გასაგებია?); „**O. K.?**“ და სხვანი, რომლებიც მიზნად ისახავენ, რომ შევამოწმოთ და დავრწმუნდეთ საკომუნიკაციო აქტში მსმენელის მზადყოფნასა და სიამოვნებით მონაწილეობაზე.

ფატიკური კომუნიკაციის მაგალითები ხშირად გვხვდება, აგრეთვე, სალიტერატურო ტექსტებშიც, განსაკუთრებით ისეთებში, რომლებიც მოიცავენ დიალოგებს და ემსახურებიან ამ დიალოგების შევსებასა და „გამდიდრებას“, მათ გამოცოცხლებას და ხშირად ფრაზების გახატონებას. უფრო ხშირად, ფატიკური გამონათქვამებს ვხვდებით თეატრალურ ტექსტებში მსგავსი გამონათქვამებით მდიდარია პირანდელოსეული და მრავალი სხვა იტალიელი დრამატურგის შემოქმედება.

როგორც უკვე ავლინებთ, ზემოთ ხსენებულ იტალიელ ლინგვისტთა აზრით, „ჩართულებს“ (**intercalari**) გამოყენება ენის ფატიკურ ფუნქციაში შედის და ემსახურება საკომუნიკაციო არხის ვარგისიანობის შემოწმებასა და ეფექტურობის დამტკიცებას.

ტერმინი „**intercalare**“ მომდინარეობს ლათინურიდან „**intercalaris**“, რომელსაც, თავის დროზე, გააჩნდა შემდეგი შემადგენლობა (**inter- in mezzo+ calare- chiamare**). მაშასადამე, **intercalare** ნიშნავს „სიტყვას“, რომელიც სხვა სიტყვებს შორის ან შუაშია ჩართული.

მიუხედავად იმისა, რომ „ჩართული სიტყვების“ გამოყენება ყოველდღიურ სალაპარაკო ენაში ძალიან ხშირი და მიღებულია საკომუნიკაციო აქტის წარმატებით წარმართვისათვის, სამწუხაროდ, ხშირად, მოსაბეზრებელიცაა სხვა მსმენელისათვის (მაგალითად, სატელეფონო საუბრისას ყოველწამიერი გამოერება შემდეგი სახის სიტყვებისა: „**è vero?**“ (მართლა?); „**appunto**“ (ზუსტად!), (სწორედაც, რომ!); „**cioè**“ (ანუ) და ა. შ.

„ჩართული სიტყვების“ ასეთი ხშირი გამოყენება მაინც გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ისინი ავსებენ საუბარში ჩამოვარდნილ პაუზებს და საჭიროც კი არიან საუბრისას, რათა მთქმელმა დრო მოიგოს იმისათვის, რომ ადვილად იპოვოს ზუსტი აზრი და პასუხი შესაფერი სიტყვებით ჩამოაყალიბოს.

თუმცა, ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, თავი აგვერიდებინა მათი ხშირი გამოყენებისათვის, რადგან ზოგჯერ „ჩართული სიტყვები“ ხელსაც კი უშლის ხოლმე საკომუნიკაციო აქტის წარმატებით წარმართვას, რადგან ხშირად აბნევს და ყურადღებას უფანტავს მსმენელს.

მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ფატიკური კომუნიკაციის ირგვლივ არსებულ შეხედულებათა სპექტრის ფარგლებში ზემოთ განხილულ „არხისეულ“ კონცეფციას მნიშვნელოვან მეტოქეობას უწევს „ემოციური“ კონცეფცია, ანუ ის კონცეფცია, რომლის მიხედვით კომუნიკაციის ფატიკური ტიპი უნდა მივიჩნიოთ ენის ემოციური ფუნქციის ერთ-ერთ გამოვლინებად.

§ 5. შატრიკური კომუნიკაცია ენის ემოციური
ფუნქციის თვალსაზრისით

რიგი ენათმეცნიერებისა მიიჩნევს, რომ, როდესაც ლაპარაკია ფატიკურ კომუნიკაციაზე, ლაპარაკია ენის სიტუაციურ გამოყენებაზე, ანუ მეტყველებაზე სხვადასხვა სიტუაციაში, რაც, მათი აზრით, მთლიანად პრაგმატიკის სფეროს მიეკუთვნება და საკუთრივ ენის ფუნქციასთან არ არის დაკავშირებული. იმის გამო, რომ ფატიკური კომუნიკაციის მიზანი კონკრეტული ინფორმაციის გადაცემა-გაგება კი არ არის, არამედ თბილი ურთიერთობის დამყარებასა და საუბარში ჩამოვარდნილი უხერხული პაუზების შევსებაა, არსებობს აზრი, რომ ფატიკური კომუნიკაციის ხსენებული სიტუაციურობა უნდა დავეუკავშიროთ მის არსებითად ემოციურ ხასიათს. ენათმეცნიერთა გარკვეული ნაწილი ამ სახის კომუნიკაციას ემოციურ კომუნიკაციად მიიჩნევს.

აქედან გამომდინარე, ფატიკურ ფუნქციას სიტუაციურ კომუნიკაციად განიხილავენ და მას უფრო სოციალური ფსიქოლოგიის განხილვის საგნად მიიჩნევენ, ვიდრე ლინგვისტიკის სფეროდ, თუმცა არ უარყოფენ იმ ფაქტს, რომ ფატიკური კომუნიკაცია ენის სიტუაციურ გამოყენებას ითვალისწინებს და, აქედან გამომდინარე, მას უფრო მეტყველების ფუნქციად განიხილავენ, ვიდრე საკუთრივ ენისა.

ეს მოსაზრება ნაწილობრივ სწორიც არის, თუ ენისა და მეტყველების დიფერენციაციას ასეთი კუთხით მივუდგებით. ფატიკური კომუნიკაცია მართლაც მეტყველებაში პოვებს თავის გამოხატულებას. თუმცა ამგვარი პოზიციის წყარო, ალბათ, ფატიკური ფუნქციის არასრულად გაგებაში უნდა ვეძიოთ.

პირველ რიგში კიდევ უნდა გავუსვათ ხაზი იმ ფაქტს, რომ ცნობილი ენათმეცნიერები ბრონისლავ მალინოვსკი (ტერმინის „ფატიკური“ ენათმეცნიერებაში შემომღებელი) და რომან იაკობსონი ფატიკურ კომუნიკაციას განიხილავენ საუბარში თბილი, მეგობრული ურთიერთობის დამყარებისა და უხერხული პაუზების შევსების საშუალებად. თუმცა ჩვენ უკვე დაფრწმუნდით იმაში, რომ ლინგვისტიკის განვითარების ამ ეტაპზე, მრავალ ენათმეცნიერს, რომელთა შორის იტალიელებიც

არიან, მიაჩნია, რომ ფატიკური ფუნქციის უპირველესი მიზანი არა მხოლოდ ზემოთ აღნიშნული პაუზების შევსებაა, არამედ, როგორც წინა პარაგრაფში იქნა აღნიშნული, საკომუნიკაციო არხის ვარგისიანობისა და მოქმედსა და მსმენელს შორის სამეტყველო არხის არსებობის შემოწმებაც. მაგრამ მათი აზრით „შემოწმების“ ეს აქტი ძირითადად ემოციურ ხასიათს ატარებს.

იტალიელ ლინგვისტთა – ჯონ კარლო ოლის, გაეტანო დე ბერნარდისა და ანდრეა სორჩის ეს მოსაზრება ემყარება იმ ფაქტს, რომ, „როდესაც გარკვეული მიზნისა და დანიშნულების საკომუნიკაციო აქტს ვანხორციელებთ, საქმე გვაქვს ამა თუ იმ ლინგვისტური კოდის დატვირთვასთან, ანუ ვანხორციელებთ ამა თუ იმ ლინგვისტური კოდის ფუნქციათა ცვალებადობას“ (11,32). მათ მიერ შემუშავებული საკომუნიკაციო პროცესის ფუნქციონირების ერთ-ერთი მოდელი ითვალისწინებს კომუნიკაციის ექვს ძირითად ელემენტს: მოქმელი, მსმენელი, არხი, კოდი, მესიჯი, მესიჯის ობიექტი (რეფერენტი). მათი აზრით, ყოველთვის, როცა მესიჯის ფორმულირებას ვახდენთ, მეტ-ნაკლებად ვაკუთვნებთ ამ ექვს ელემენტს მათ შესაბამის ენობრივ ფუნქციას, კერძოდ:

- მოქმელი – ემოციური ფუნქცია;*
- მსმენელი – კონატიური;*
- არხი – ფატიკური;*
- კოდი – მეტალინგვისტური;*
- მესიჯი – პოეტური;*
- მესიჯის ობიექტი(რეფერენტი) – რეფერენციალური ფუნქცია;*

თუმცა, უნდა ავლნიშნოთ, რომ, როგორც სქემიდან ჩანს, თითოეული ელემენტი საკომუნიკაციო აქტის აუცილებელი შემადგენელი კომპონენტია.

ახლა განვიხილოთ, ამ ექვსი ელემენტისა და ფუნქციის ურთიერთმიმართებიდან რომელს მიაკუთვნებენ ზემოთ დასახელებული ლინგვისტები ემოციურს, და რომელს – ფატიკურს.

მათი აზრით, ყველაფერი, რისი შეტყობაც შეგვიძლია თავად ავტორის მხრიდან, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, როდესაც ენობრივი აქტის ცენტრალური ორიენტირი მხოლოდ მესიჯის (შეტყობინების) გადამცემი, ანუ მთქმელია, საქმე გვაქვს ენის ემოციურ ფუნქციასთან, რადგან ეს უკანასკნელი გამოხატავს მთქმელის პირად გრძობებსა და აზრებს და მათი გამოხატვისას მთქმელი ყოველთვის იყენებს ენობრივ კოდს. საკომუნიკაციო აქტის შესრულებისას ემოციური ფუნქციით ხშირად გამოიხატება სიმპათიის, მეგობრობის, სიყვარულის, ზიზღის, ბრაზის და სხვა ემოციური დატვირთვის მქონე გამოთქმები.

მაგრამ, როგორც ავტორები გვაფრთხილებენ „არ უნდა შევცდეთ და არ უნდა აგვერიოს ეს უკანასკნელი სხვა ფუნქციებში, რადგან, როდესაც მთქმელის მიერ ჩამოყალიბებული მესიჯი (შეტყობინება) მსგავს ემოციებს უკვე მსმენელშიც აღძრავს და მსმენელისათვის განკუთვნილი ხდება, მაშინ საქმე გვაქვს კონატიურ და არა ემოციურ ფუნქციასთან” (იქვე). ისინი უარყოფენ, აგრეთვე, იაკობსონის აზრს, რომ ემოციური ფუნქციის რეალიზებისას მთქმელი კი არ „გადასცემს პირდაპირი გზით თავის ემოციებს მას, ვისთანაც საუბრობს” (იაკობსონი) - არამედ მისი მესიჯი (შეტყობინება) ორიენტირებულია მესიჯის მიმღებზე (*ricevente*)” (იქვე).

ჟ. კ. ოლი, გ. დე ბერნარდის და ა. სორჩი ემოციურ ფუნქციას მიაკუთვნებენ ნებისმიერ წერილობით ტექსტს, რომელშიც ავტორი საკუთარ თავზე მოგვითხრობს, აგრეთვე დღიურებს, ავტობიოგრაფიულ, მემუარულ, ესეისტურ და სხვა ამგვარი სახის ნაწარმოებებს. იგივე ფუნქციას მიაკუთვნებენ კრიტიკულ წერილებსა და მიმოხილვებს, აგრეთვე, კომენტარებსა და ყველა იმ წერითი სახის ნაწარმოებს, რომლებშიც ავტორი საკუთარ აზრებსა და შეხედულებებს, შთაბეჭდილებებსა და პირად შეფასებებს გამოთქვამს.

ახლა ვნახოთ, ზემოაღნიშნული ექვსი ელემენტიდან რომელს მიაკუთვნებენ ავტორები ფატიკურ ფუნქციას. სქემიდან ნათლად ჩანს, რომ ფატიკური ფუნქცია არხის ელემენტთან კავშირში განიხილება, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფა-

ტიკური კომუნიკაცია ემსახურება მთქმელის კონტროლს საკომუნიკაციო არხზე და მსმენელის საუბარში ჩაბმისათვის მზადყოფნის გამოხატვას. ე. ი. ფატიკური ფუნქცია მოდელის მიხედვით ორიენტირდება არხზე და არა მთქმელზე, როგორც ეს ემოციური ფუნქციისას ხდებოდა.

გარდა ამისა, ემოციური ფუნქცია მონოლოგური სახისაა და მისი რეალიზაციისას აქცენტი მთქმელზე ანუ ავტორზე კეთდება. ე. ი. საკომუნიკაციო აქტში მხოლოდ ერთი სუბიექტის მთქმელის - ემოციები და პირადი განცდები ორიენტირდება. ფატიკური ფუნქცია კი დიალოგური ხასიათისაა და მისი განხორციელებისას სამეტყველო აქტში მსმენელის ანუ ადრესატის ჩართვის მიზნით ხდება ენობრივი არხის ეფექტურობისა და ვარგისიანობის შემოწმება.

მაგალითისათვის ავტორებს მოჰყავთ მოკლე დიალოგი კარაბინერს, სერჟანტსა და ცენტრალური ოპერატიული სამსახურის მორიგეს შორის, რომელშიც, ავტორთა აზრით, ფატიკური ფუნქციის განხორციელებასთან გვაქვს საქმე:

Da un' auto dei Carabinieri: „ Qui sergente lo Verde al Centrale: Mi sentite?”

Dalla Centrale operativa dei carabinieri: „Sì, Lo Verde, ti sentiamo; Parla pure!”

(კარაბინერთა მანქანიდან: „სერჟანტი ლო ვერდე მოახსენებს ცენტრალურს: გესმით ჩემი?”

კარაბინერთა ცენტრალური ოპერატიული სამსახურიდან:

„ღიახ, ლო ვერდე, გვესმის შენი (ხმა), ილაპარაკე!”) (11, 36)

ცენტრალური ოპერატიული სამსახურის მორიგისა და სერჟანტის მოკლე საუბარში ეს უკანასკნელი გადასცემს მესიჯს (შეტყობინებას), რომლის მიზანია გაირკვეს, არსებობს თუ არა საკომუნიკაციო არხში რაიმე დაბრკოლება. მთელი მესიჯის ცენტრალური ორიენტირია სერჟანტის შეკითხვა: „გესმით ჩემი?”, რომელზეც მოითხოვს დადებით ან უარყოფით პასუხს, ანუ მესიჯი მიზნად ისახავს მთქმელის დარწმუნებას საკომუ-

ნიაცო არხის ვარგისიანობასა და ეფექტურობაში. მთქმელს სურს გაერკვეს, დამყარდა თუ არა კონტაქტი მსმენელთან, როგორც ვხედავთ, სერჟანტი არავითარ სხვა ინფორმაციას არ გადასცემს, არ ამუღავენებს რაიმე განსაკუთრებულ პირად ემოციებსა და მოსაზრებებს, არ ისახავს მიზნად მსმენელშიც მსგავსი ემოციების გამოწვევას (ამ უკანასკნელს ადგილი რომც ჰქონოდა), არამედ აკონტროლებს თუ რამდენად ეფექტურად ფუნქციონირებს საკომუნიკაციო არხი და არსებობს თუ არა მსმენელთან კონტაქტი.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფატიკური კომუნიკაცია, რა თქმა უნდა, მართლაც წარმოუდგენელია ემოციური მომენტის გარეშე, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მისი დანიშნულება სწორედ ემოციის გამოხატვაში უნდა ვეძიოთ. მაშინაც კი, როდესაც ფატიკური კომუნიკაცია ემოციური დატვირთვის ფრაზებსა და გამოთქმებს იყენებს, ეს უკანასკნელი მაინც გარკვეულ ენობრივ ჩარჩოებშია მოქცეული. ემოციური ფუნქციისაგან განსხვავებით, რომელიც ნებისმიერი, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი დატვირთვის მქონე გამოთქმის რეალიზების საშუალებას იძლევა, ფატიკური კომუნიკაციისას მთქმელი მხოლოდ და მხოლოდ დადებითი სახის ემოციური დატვირთვის მქონე გამონათქვამებს იყენებს მსმენელის, უხეშად რომ ვთქვათ, მეგობრულ საუბარში „ჩათრევის“ მიზნით. ფატიკური ფუნქციის განხორციელებისას წარმოუდგენელიცაა უხეში და უტაქტო გამონათქვამების გამოყენება. პირიქით, ნებისმიერი ფატიკური ფრაზა თბილი, მეგობრული ურთიერთობის დამყარებას ისახავს მიზნად და აიძულებს მსმენელს, გამოხატოს თავისი მზადყოფნა საკომუნიკაციო აქტში მონაწილეობისათვის.

§ 6. შატიკური კომუნიკაციის ადგილი კომუნიკაციის ზოგად სტრუქტურაში

წინა პარაგრაფებში ჩვენ შევეცადეთ დაგვენახა ფატიკური კომუნიკაცია კომუნიკაციის როგორც ზოგადენობრივი და ზოგადსოციალური ფენომენის ფართო კონტექსტში. რა შედეგი მოგვცა ამ მცდელობამ და შეგვიძლია თუ არა კვლევის ამ ეტაპზე უკვე ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად განვსაზღვროთ ფატიკური კომუნიკაციის ადგილი ზემოთხსენებული კონტექსტის ფარგლებში?

დასმულ კითხვაზე ადეკვატური პასუხის გაცემის პირველ წინაპირობად უნდა ჩავთვალოთ ის, რაც უკვე ითქვა ჩვენი ნაშრომის შესავალში: ჩვენ გამოვყავით საკვლევი თემის აქტუალურობის ორი ასპექტი – ასპექტი, რომელიც გულისხმობდა თვით ფატიკური კომუნიკაციის შინაგანი ანტინომიურობის გადალახვას და ასპექტი, რომელიც გულისხმობდა ფატიკური კომუნიკაციის ფართო, შეიძლება ითქვას, ინტერდისციპლინარულ კონტექსტში განხილვას. მიგვაჩნია, რომ ფატიკური კომუნიკაცია როგორც ფენომენი ჯერ არ ყოფილა განხილული ამ ორი ასპექტის სინთეზური სახით გათვალისწინების პერსპექტივით.

შევძელით თუ არა იმ ამოცანის შესრულება, რომელსაც გულისხმობდა აქტუალურობის პირველი ასპექტი, ანუ შევძელით თუ არა იმ ანტინომიურობის „მოხსნა“, რომელიც უნდა ვივარაუდოთ, მუდამ თან ახლდა ფატიკურ კომუნიკაციას რიგორც კონცეპტს, თუმცა, როგორც ჩანს იგი მკვედვართა მხრიდან შეუმჩნეველი ხდებოდა. ვფიქრობთ, ხსენებული ანტინომიის „მოხსნა“ შეუძლებელი იქნებოდა და ამდენად ფატიკური კომუნიკაციის ცნება ვერ შეიძენდა ჭეშმარიტ ლოგიკურ ადეკვატურობას, თუ არ მოხდებოდა მნიშვნელოვანი ძვრა თვით კომუნიკაციის როგორც ფენომენის თეორიულ გააზრებაში. მაგრამ ჩვენ დავრწმუნდით, რომ ასეთი ძვრა უკვე ხდება: ვეხს იკიდებს აზრი, რომ აუცილებელია კომუნიკაციის როგორც ფენომენის არა ინფორმაციული, არამედ ინტერაქციული გაგება. ბუნებრივია: თუ კომუნიკაცია გაგებული იქნება ინტერაქციულად, მაშინ მოიხსნება ის შინაგანი ანტინომიუ-

რობა, რომელიც, ჩვენის აზრით, მუდამ თან ახლდა ფატიკური კომუნიკაციის ცნებას, რადგან კომუნიკაციის ეს ტიპი თავიდანვე განისაზღვრებოდა სწორედ ინტერაქციულობის ნიშნით.

მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ კომუნიკაციის ის ინტერაქციული გაგება, რომელიც ამჟამად „ფეხს იკიდებს“ (როგორც ვნახეთ ამგვარმა პოზიციამ სრული გამოხატულება ჰპოვა მ. მაკაროვის უახლეს მონოგრაფიაში), ქმნის ამავე დროს სრულიად ახალ პრობლემას და ამ პრობლემის არსი მდგომარეობს შემდეგში: როგორ უნდა განისაზღვროს ფატიკური კომუნიკაციის ადგილი კომუნიკაციის ამგვარად ანუ ინტერაქციულად გაგებულ „არეალში“? როცა ჩვენ ვეცნობოდით იტალიელ ლინგვისტთა გამონათქვამებს კომუნიკაციის (ზოგადად კომუნიკაციის!) შესახებ, დავინახეთ, რომ ძალიან ძნელი იქნება გაიგლოს ერთნიშნად განსაზღვრული სადემარკაციო ხაზი კომუნიკაციის არაფატიკურ და საკუთრივ ფატიკურ ტიპებს შორის: თუ, როგორც პიერო ბატალია და ჯულიო ტოსკი ფიქრობენ, კომუნიკაციის ჭეშმარიტი დანიშნულებაა კომუნიკანტთა შორის „შეხვედრის“ (*incontro*) განხორციელება, მაშინ ძნელი იქნება იმის დანახვა, თუ სად, როდის, ან როგორ უნდა „შეწყდეს“ ამ „შეხვედრის“ სივრცეში ფატიკურობით ნაგულისხმევი ინტერაქცია და „დაიწყოს“ ინტერაქციის სხვა სახეობა. ჩვენ ვნახეთ, რომ იდეალური საკომუნიკაციო სიტუაციის კონცეფცია ატარებს მკვეთრად გამოხატულ დისკურსულ და არა ენობრივ ხასიათს და გულისხმობს, რომ ნებისმიერი საკომუნიკაციო აქტი უნდა იწყებოდეს გარკვეული „ნიშან-სიგნალით“, როგორც კონტაქტის დამყარების წინაპირობად. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ასეთი „ნიშან-სიგნალი“ ფუნქციური თვალსაზრისით უნდა ემთხვეოდეს ფატიკური კომუნიკაციის საყოველთაოდ აღიარებულ გაგებას. მაგრამ, თუ ჩვენ მივემხრობით კომუნიკაციის ინტერაქციულ გაგებას და თუ პარალელურად ამ ინტერაქციულობის ჭეშმარიტ მიზნად „შეხვედრას“ (*incontro*) მივიჩნევთ, მაშინ რატომ უნდა მიუჩინოთ ფატიკურ კომუნიკაციას ადგილი მხოლოდ კომუნიკაციის საწყის ეტაპზე? უფრო სწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ფატიკურობა ინარჩუნებს თავის ფუნქციურად გაგებულ მნიშვნელობას კომუნიკა-

ციის მთელი პროცესის განმავლობაში. სხვა საკითხია, თუ რა სახესა და შინაარსს იძენს იგი კონკრეტული საკომუნიკაციო აქტის ამა თუ იმ კონკრეტულ ეტაპზე.

ერთ-ერთ წინა პარაგრაფში ჩვენ უკვე გამოვთქვით შემდეგი აზრი: კომუნიკაციის ხაზგასმით ინტერაქციული გაგების შემთხვევაში ფატიკური კომუნიკაცია უკვე ვეღარ ჩაითვლება კომუნიკაციის როგორც ერთიანი ფენომენის პერიფერიად და შესაბამისად მისმა ადგილმა უნდა გადაინაცვლოს პერიფერიიდან ცენტრისკენ. მაგრამ ამ შემთხვევაში, აუცილებელია გავიხსენოთ ისიც, რომ „ცენტრისა და პერიფერიის“ ცნებები ეკუთვნიან *ველის თეორიას* და გულისხმობენ შემდეგს: ენობრივ მოვლენებს შეუძლებელია მიეუდგეთ მხოლოდ ოპოზიციის პრინციპზე დაყრდნობით, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ *კონტინუუმთან*, რომლის ფარგლებში ოპოზიციის პრინციპი შერწყმულია გრადუალობის პრინციპთან.

თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ყველაფერ იმას, რაც ზემოთ ითქვა, მაშინ ინტერაქციულად გაგებულ კომუნიკაციაც უნდა გავიგოთ ისეთ კონტინუუმად, რომლის ფარგლებში მოქმედებს ველის პრინციპი. ამ პრინციპის თანახმად კი ჩვენი საკვლევი ფენომენი – ფატიკურობა – უნდა განვიხილოთ როგორც კომუნიკაციის ისეთი მომენტი, რომელმაც შეიძლება დაიკავოს განსხვავებული (პრინციპში, ალბათ, ნებისმიერი) ადგილი კომუნიკაციის კონკრეტულ აქტში.

მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ნებისმიერ სამეტყველო პროცესს საფუძვლად უდევს ენა როგორც სისტემა, ანუ ნებისმიერ სინტაგმატიკას (გარკვეულწილად მაინც) განაპირობებს პარადიგმატიკა. ამიტომ საკითხავია: რამდენად შეიძლება ვილაპარაკოთ ამა თუ იმ ენის სისტემაში არსებული ფატიკურობის პარადიგმატიკაზე, ანუ მის შიდა ენობრივ ტიპოლოგიაზე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ჩვენი ნაშრომის მეორე თავში შევძლებით.